დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 1 მარტი**

დისციპლინური საქმე №21/22
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2022 წლის 15 თებერვალს მოსამართლე -- -- მიმართ მიღებულია -- -- დირექტორის, -- -- №21 საჩივარი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №166/19 გადაწყვეტილებით შეწყდა -- -- დირექტორის, -- -- 2019 წლის 23 სექტემბრის №166 საჩივარზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება, მოსამართლე -- -- მიმართ.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- დირექტორის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და 2022 წლის 15 თებერვალს წარმოდგენილი საჩივრები შეეხება მოსამართლე -- -- მიერ 2015 წლის 20 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით წარმოადგენს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს.

ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი განმეორებით ვერ იმსჯელებს მოსამართლე -- -- მიმართ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- დირექტორ -- -- ეთქვას უარი №21/22 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი